

ენათმეცნიერების სექცია

№ 1

აკად. ნ. მარი

რა წილი აქვს ქართულს ენის უაქმის
და განვითარების მსოფლიო ისტორიაში

დაიბეჭდა სამეცნიერო აკადემიის განკარგულებით

1930 წლის 1 ოქტომბერი

მუდმივი მდივანი კ. სულაქველიძე

რეწილი აქვს ქართულს ენის უმჯნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში

(საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციის სამაგიერო
საუბარი 1930 წ. 10 იანვარს).

ამხანაგებო, საუბარი გვექნება ჩატეხილ და ჩაუტეხელ ხიდზე. თქვენც, ამხანაგებო, და მეც ერთმანეთის საენათმეცნიერო საგანზე ერთი მხრით მოსასმენლად და მეორე მხრით დალაგებით მოსახსენებლად მომზადებული რომ ვყოფილიყავით; საბაბად ავიღებდი იმ საკითხს, თუ რა კერძი აქვს ქართულ ენას პირმეტყველების (ბგერითი, სჯობს კი ვთქვათ ხმიერი ენის) შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში.

მაგრამ, საუბედუროდ, ასეთ მოხსენების შესათვისებლად აუდიტორია, როგორც შემიტყვია, ჯერ მომზადებული არ ბრძანებულა. ჯერ უნივერსიტეტში ამბავი არ მოსულა, თუ რა მომაკვდინებელ კრიზისს განიცდის ძველი ენათმეცნიერული სწავლა ევროპაში, რა განხეთქილება სუფევს ამ სწავლის თვით მიმდევართა შორის და მათგან რა ხრამში ჩაცვენილან ერთი მხრით დაობებულ მიმართულების დღესაც მომხრე-დამცველნი და მეორე მხრით თვით ცოცხალ მასალაზე უფრო დაახლოვებით მომუშავე, მათი მოწინააღმდეგენიც და ეგრეთ წოდებული პალეოეთნიურ ენათმეცნიერულ მიმართულების წარმომადგენელნი.

ამხანაგებო, პირველი და უმთავრესი პირობა ყოველ ჯანსაღ მოქმედებისა, საქმიანური იქნება იგი თუ თავშესაქცევი, გულახდილობა და პირუთენელ სათქმელის პირდაპირი თქმა არის.

ოქტომბრის რევოლუციამ თვით საერთაშორისო პოლიტიკაშიც შემოიტანა გულახდილობა, უსაიდუმლო და კარჩაუკეტელი. მეცნიერებაში ხომ, თანამედროვე პირობებს თუ შევიგნებთ და ვისარგებლებთ, ყოვლად შეუწყნარებელია კარჩაკეტილობა, მისგან დამოკიდებით მოსალოდნელია ხოლმე ეროვნულ—მატერიალურად დაწინაურების და კულტურულ განვითარების შეჩერება და, როცა გა-

ნათლების მაღალ საფეხურზე მდგარი თუ ნამდგარი ერია, შისი დაქვეითება და აუცილებელი დამარცხებაც. რასაკვირველია, ყველაფერს თავის დრო აქვს. ასეთ განყენებულ ოცნებებით მოცული თავის სამშობლოს ღრმა სიყვარული არარაობაზე, იქნებ ფასდაუდებელიც იყოს, რადგან გაჭირვებაში კაცს აღაფრთოვანებს, აგრეთვე ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს, გუშინ, ვთქვათ, საჭირო იყო და იყო ასეთი საჭიროება, დღეს სხვა ჭირნახულობის ხანა დამდგარა: უკან დახევის ბილიკიც არ მოუშაადებია ისტორიას და წინსვლის, დაწინაურების ფართო გზებია გახსნილი.

აგრე კარჩაკეტილობით ყოფნა გახლდათ იაპონეთში, ერთხან ეროვნულ ოცნებებით გატაცებულ იაპონეთში, რაც დალაგებით წამბობი აქვს დოქტორ ჯონ ბაჩლორს (D-ქ John Batchelor) მისი თავგადასავალით, მისგანვე წაკითხულ ერთ ლექციაში ძველთა ძველ აინურ, ანუ აინოსურ ენის შესახებ¹. თავის ლექციას აგრე იწყებს დ-რ ჯონ ბაჩლორი:

„არ იფიქროთ, ჩემი ლექციის სათაური მიმიზნულია იმაზე, ჩვენ აზრად გვქონდეს აქ აინოსურ ენის წარმოშობის და კუთვნიული ადგილის საგანი ვარკვიოთ ეგრე, როგორც მიღებულია ეთნოლოგების და ფილოლოგების წრეებშიო.

„საგნის ეს მხარე ჩემთვის ნამეტანი ვრცელი, ნამეტანი ღრმა, ნამეტანი მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში მას ხელი მიეყოთ. დღევანდელი ჩემი სათქმელი მარტო ის არის, რომ გარკვეულ სიტყვების აღშენებულობით ამ ენის, აინოსურ ენის არსებითი ბუნება ნათლად დასანახი გავხადო. მოსახსენებლად სიტყვებიდან სამი დარგი ამომირჩევია: ერთი, ცოტაოდენ ადგილის სახელები, მეორე—რამდენიმე მცენარის სახელები, მესამე—პირუტყვთა ზოგიერთი სახელი და მეოთხე—ზოგი თევზთა და სხვადასხვაგვარის სახელებისაგანაც. დავხსენი ყველა ეს სიტყვები და გამოვაჩინე, თუ ასეთ დასახელებათა აზრი როგორ მესმისო“.

აქ იძულებული ვარ შევწყვიტო და შემცდარ დასკვნის ასარიდებლად იმის თქმა მოვასწრო, რომ ბაჩლორ სრულებით იაფეთილოლოგი არ გახლავს, თუმცა მის შენამუშავ მასალას, თვით მასალას პირი აქვს მიმართული ენის ახალ სწავლაზე და ამისგან დამოკიდებით ზოგ მის თქმასაც.

¹ The Osaka Mainichi, Osaka Taidan, აპრილი 23, 1926.

დ-რ ჯონ ბაჩლორ შემდეგ გადადის იმის მოხსენებაზე დალაგებით, თუ მშვენიერი აინუ ან აინოსური ენა, ადრე უხსენებელი იაპონელებში, მედიდურად უკუგდებული საზოგადოებაშიც და მეცნიერებაშიც, ახალგაზრდობის ჩატანებით, რა აყვავების ხანაში ჩამდგარა დღეისდღეთ იმავე ქვეყანაში, გულდადებით სერიოზულ შესწავლის მხრით, თვით იაპონელ მეცნიერების წრეებში.

მაგრამ სჯობს მისივე, თვით დ-რ ჯონ ბაჩლორის, აინოსურ ენის კერძოდ ან სპეციალურად მცოდნის, საკუთარი თქმით მოგახსენოთ:

„აინოსურ ენის შესწავლა მე დამიწყიაო, ბრძანებს იგი, საპორის მასლობლად ციუშკარ წოდებულ ალაგს და აქ მცხოვრებ სახალინიდან გადმოსახლებულ აინოსებს შორის.... ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიტყვა მათში მოსასმენი, როგორც ახლა მახსოვს, ცეცხლის სახელი არის **ჭუჯი**. ამ სიტყვით დავიწყებ დღეს ჩემ სათქმელსო¹⁾).

„ორმოციოდე წელი იქნება მას აქეთ, რაც ოსაკა ქალაქში იაპონელ მრავალრიცხოვან ახალგაზრდობას წაუფუკითხე ლექცია აინოსურ ენის შესახებ. ჩემ სიტყვის მიმდინარეობაში ის ფაქტი მოვიხსენე, რომ ჩემი შემუშავებული აზრით, მთის სახელი **ჭუჯი** აინოსურ ენისგან მომდინარეობს. ამის გამოთქმამ გამოიწვია აღშფოთების მძლავრი ქარიშხალი მთელ კრებულში, რადგანაც ამ ჯელებს, ახალგაზრდებს, არ მოეწონათ ასეთ განთქმული, მშვენიერი და სიწმიდით მიჩნეულ იაპონეთის მთის სახელი ყოფილიყო აბორიგენულ, ე. ი. (რალაც გაუნათლებელ და გაუთეშელ) ენისაგან წარმომდგარი და არა წმინდა იაპონური. აგეთ პირობებში, აღარ მივიჩინე მოხერხებულად გამოთქმულ აზრზე დაჟინებით შეჩერება და ჩემი საბუთების ამოლაგება. მე მარტოკა წმინდა ფილოლოგიის და განყენებულ მსჯელობის თვალსაზრისით ვამბობდი და თქმულის მავნებლობა აზრშიაც არ მქონდა. მაგრამ (შეუგნებელ) გრძობამ არაერთი გრძელი მანძილი ჩამოიყოლა ჩემი აზრით, და ზოგ საგნებში ჯერეც ბუდობს, მიტომაც სიფრთხილის ხმარება მჭირდება, მაგრამ ახლახან საკითხები დაწინაურდენ და აშკარა კამათი იმავე საგანზე ჯეროვანად და კუთვნილად მიჩნეულია, და ამ მოკლე ხანში მოსულ ცნობით, დღესდღეობით ისეთებიც იპოებიან, რომ ჩემ სიტყვის მითითებულ წარმოდგენაზე კამათობენ, და მეც

¹⁾ დედანში **ჭუჯი** სიტყვასთან მოხსენებულა აგრეთვე უნჯი.

ვსარგებლობ ახლა ხელისშემწყობ შემთხვევით, რომ ჩემი საბუთები ოდენ სისავსით გამოვთქვაო“.

ბრძანებთ, ზოგი რამ ამ ნამდვილ ამბისგან ჩვენი მდგომარეობის მცოდნეთა უფრო ახლო ქვეყანაშიც, საბჭოთა ქვეყანაში, განმეორებულად გამოუჩნდებათ, ადვილი მისახვედრია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქო ან დ-რ ჯონ ბაჩლორ და მე ერთი წყაროდან ვეწაფებოდეთ მას, რაც ჩვენ გვამსგავსებს, ან საქართველოს და იაპონეთს რამე დამოკიდებულება ჰქონდეთ ერთმანერთთან, მეტადრე აინოსებს და რომელიმე კავკასიელ ერს, თუმცა ეს თქმა ისე არ ჩამოგვერთვას, თითქო შორაღმოსავლეთის და კავკასიის, სახელდობრ საქართველოს ენებს ერთმანეთთან არავითარი ნათესაობის ნიშანი არ ჰქონდეთ. პირიქით, ენის იმ ნათესაობას, რომელიც სინამდვილეს წარმოადგენს და მსოფლიო მატერი-ალურ ფუძის ზრდაზე და განვითარებაზე ზედნაშენია, ჩვენ ახლა (და არა მარტო ჩვენ) ამერიკამდიც მივუყვანივართ.

და კერძოდ იაპონურზე და აინოსურზე სიტყვა ოუ ჩამოვარდა, მარტო **ცხენზე**, თუმცა ესეც დიდად თვალსაჩინო და სტადიური განვითარების მკაფიოდ დამახასიათებელი მოვლენა გახლავს, — ვამბობ, მარტო **ცხენზე**, არ არის საქმე მივარდნილი, როგორც იმ დროსაც არ იყო, როცა ჩვენი მარტოხელა ძიება-კვლევით გამოაშკარავდა, რომ იაპონეთ-ჩინეთიდან ირლანდ-ესპანეთამდე ერთი და იგივე სიტყვა ხმარებულა ცხენის აღსანიშნავად, თან დღემდეც იმავე სიტყვას ატარებს სახელად ეგ მიმოსვლის ოთხფეხი, კაცობრიობის ოჯახ-მეურნეობის დაწინაურების უდიდესი იარაღი, და ჩინურ ენის და მეტყველების პალეონტოლოგიის შესახებ ერთ წყება სტატიებში დაიბეჭდა კიდევაც პაწაწინა შენიშვნა „ბერული ცხენი ზღვიდან ზღვამდე“, რომელიც ცხადად ყოფს ბერული დასახელებით ცნობილ ცხენის გავრცელებას იაპონეთის და ჩინეთის ზღვიდან პირენეთა ან „იბერიის ზღვამდე“.

დღეს ლენინგრადში ერთი თვალსაჩინო, მიუხედავად მის ახალგაზრდობის, იაპონურ ენის მცოდნე ხოლოდკოვსკი მის სპეციალურ კვლევა-ძიების შემადგენელ საგანს უკვე ჩაღრმავებით ხსნის იაფეტურ თეორიის დებულებათა და იაფეტურ ენების მასალის სარგებლობით, იმავე გზით თვით იაპონელთ სოციალურ წყობილების ტერმინების მოხერხებულ განმარტებაზე ადრევე მიმდგარი თამამად საძირკველს უყრის იაპონურ ენის შესწავლის ახალ რელსებზე დაყენებას. მოსკოვში ეროვნულ და ეთნიურ კულტურათა ინსტიტუ-

ტის მანდილოსანი ასპირანტი, დაეწაფა რა იმავე მიზნით ქართული ენის ცოდნას, ენის ახალ სწავლას, იაფეტურ თეორიის საშუალებით თავდაპირველად, ნაკლებ გამბედაობით ცდილობს ნათესაობის ტერმინები ახსნას და თავის ცდის მოხსენებაზე იაფეტურ თეორიაში უფრო გავარჯიშებულ ამხანაგ ასპირანტებისაგან მოტანილ იერიშს იგერებს ფრთხილი მსჯელობით და გზა-გზა მაინც ჩნდება ლექსიკონის ამ ფენის მოხდენილად განმარტებაში ამის და მისგან წარმოებულ სიტყვების ნათესაობა ქართულ-მეგრულს და იაპონურს შორის.

რაც შეეხება პალეოასიურ ენებს, არა მარტო აინოსურს, მათში თითქო საგანგებოდ თავმოყრილია მზა პრეპარატები ახალ ენათმეცნიერების, იაფეტურ თეორიის თეზისების შესამოწმებლად. ხელწასაკრავ მაგალითად სხვა რომ არ იყოს, იმ მოვლენას მივუთითებთ, რომელიც იმავე ქანდაკებრივ-რელიეფ ხაზებით, როგორც ძველ ქართულ სამწერლო ენაში, მხოლოდ ენისეურ, ეგრეთ წოდებულ დინჰინურ ენაში აღმოჩნდა და გზადაბნეული სპეციალისტები გაშტერებული შესცქერიან, თუ რას ნიშნავს ასეთი ყოვლად მათ მიხვედრისათვის უმგვანო დაბოლოების გარემოებაო. ეს სწორედ ის სინტაქსური მოვლენა გახლავს, რომელიც ძველ ქართველებს „მუშაკის ხელით“ ახლანდელი თქმის მაგიერ აწერინებდა „ხელითა მუშაკისა-ჟთა“, ნათესობით ბრუნვასთან (მუშაკისა) სასაზღვრი სახელის (ხელითა) დაბოლოების (-ითა) განმეორებით (მუშაკისა-ჟთა). საქმე რომ მარტო ამ ფორმალურ შეხვედრაზე შერჩენილიყო, კურიოზის მეტი არაფრად გამოსაყენებელი არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ახლა ისიც ვიცით, რა საზოგადოებრივ მოვლენაზე, რა საწარმოო ფუძეზე და მის სათანადო განვითარებულ ტექნიკაზე გახლავს ეგ მოვლენა ზედნაშენი და რაოდენად ამ მოვლენას უდრიან ორივე ენის, ქართულის და ენისეურ-დინჰინურის სხვა კოორდინატები ან კორრელატები, ენის მოვლენათაგან მომჩქეფი ის დამახასიათებელი ხაზნი, რომელნიც წარმოშობიდან წარმოების იმავე განვითარების საფეხურზე და უნათესავებენ ამ შორ ენისეის მდინარეზე მცხოვრებ ტომის ენას არა მთლიანად ან ახლანდელ ჩვენ ცოცხალ ქართულ ენას, ან ქართველების უკვე განსვენებულ ძველ სამწერლო ენას, არამედ მარტოკა მის ერთ ფენას, შესაფერ საწარმოო განწყობილების შემოტანილს და მასში ჩარჩენილს, როგორც რელიქტი.

და იგივე ნათესაობა არა ნაკლებ სიმძლავრით გამოჩქეფს დასავლეთ ენებთან და ქართულთან არა მარტო, როცა ქართულს პალეონტოლოგიურად ვადარებთ ბასკურს, რომლის დაახლოვებით

ნათესაობამ ქართულთან დამაწერინა ნაშრომი „პირენეულ გურიიდან“, არამედ ბერბერულს და თვით ფრანგულსაც.

ბერბერულ ენასთან ნათესაობა ქართულის აგრეთვე სტადიურ განვითარების გარკვეულ საფეხურს ეკუთვნის, აგრეთვე სათანადო საწარმოო ურთიერთობის სოციალურ ფორმაციაზე ზედნაშენ ფენას შეადგენს ქართულში მშვენიერად შენახული, არა რასაკვირველია, მარტო სახელი „სუ“, რომელიც წყალის მნიშვნელობით ერთად ერთი ზოგადი სიტყვა გახლავს თურქ სისტემის ყველა ენებში და თან ბერბერულში, როგორც ქართულში, მისგან წარმოებულია ზმნა „სუ-მა“ **სმა, დაღევა**. მასთანავე იპოვება მთელი რიგი იმ ფენისავე კოორდინატები, სხვათა შორის, ნათესაობის ტერმინებიც. ბაგისმიერი ბგერით გახმოვანება ამ სიტყვას აკუთვნებს შიშინა ჯგუფს, სადაც თავის სამშობლო სოციალურ ნიადაგზე უნდა თქმულიყო „შუ“, რაც დიხსაც იპოვება შიშინა ჯგუფის ენებში, აგრეთვე მისგან წარმოებულ ზმაში, ქანურშიც—ო-შუ-მუ „სმა“ და მეგრულშიც „შუმუ-ა“, „შუ-მა-ფა“.

ჩუვამებს კი იგივე „შუ“ შერჩენიათ პირდაპირ წყლის მნიშვნელობით. ქართული მთავარ ფენის ამ შემთხვევაში დამახასიათებელი ანის ბგერით იგივე სიტყვა უნდა გამოთქმულიყო „სალ“, რომლის უფრო ძველ სახეს წარმოადგენს ჩვეულებრივი ჩვენი სიტყვა „წყალ“, დასაწყისი დაბალ თანხმოვანის (ს) მაღალი დიფუზური გამოთქმით (წყუ) ქართულში, როგორც შეჯვარედინების ნაშედეგარად რთულ და მეტად განვითარებულ ენაში, მის მთავარ აურ გახმოვანების გვერდით თვალსაჩინო ფენას შეადგენს უურ გახმოვანების გარდა ეურიც, განსაკუთრებით ძველ სამწერლო ენაში, მაგალითად ჩვენ ძირითად ქართულ სიტყვას „თავ“, უური განხმოვანებით თხუმ, ეური განხმოვანებით „თხემ“ ეფარდებიან და მათი მნიშვნელობა აგრეთვე „თავი“ იყო, და ახლა როგორც „თხემ“, აგრეთვე „თხუმ“ იპოვება სვანურში, რომელიც წარმოადგენს შიშინა ჯგუფის ბაგისმიერ ბგერით გახმოვანებით და სპირანტ ჯგუფის შეჯვარედინებულ ენას.

ამ სამ სოციალურ ჯგუფის გახმოვანებით შეთანხმებულ რიგს „თავ“, „თხუმ“, „თხემ“ აუარებელი ფესვი ამოუჩნდა უამთა სიღრმეში ჩათლული, ზოგი ადგილობრივ და ზოგი დასავლეთ ევროპაში.

ორ მაგალითს მოვიყვან. ერთი შეეხება „თხუმს“, წინარე სახით აღდგენილს „ჩხუმ“-ს, ქართული გამოთქმით „ცხუმ“-ს. ენის პალეონტოლოგია გვასწავლის, რომ ერთი მხრით სუფევდა სამნიშნე-

ლოვანი რიგი „თავი-მთა-ცა“ და მეორე მხრით ცა კოსმიურ მხედველობის სტადიურ განვითარების საუფხურზე და ცა, ცის მწყობრი, მზე, მთვარე, მნათობნი, ღრუბელი და მისთანანი ტოტემად მიჩნეული იყვნენ და ამისდა გვარად.

კუთვნილი ეთნიური აღმონაქმი ასეთ ციურ ტოტემის სახელს ატარებდა, რის ნაშთი, სხვათა შორის, მოიპოვება ტოპონიმურ ტერმინებში. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ ტერმინებიდან სვანეთზე ახლა დაშორებული ცხუმის ქალაქის გარდა სვანეთის სოფელი „ცხუმარ“ და სვანეთის მოსაზღვრე „ლეჩხუმ“ ან ჩხუმების მხარე, რომელთ ტოტემად თევზი ან ვეშაპი უნდა მივიღოთ, თუ ჩვენამდი მოწვენილ სათანადო ენის მდგომარეობას ვიხელმძღვანელებთ, რაც არც ციურ მწყობრის ტოტემობას ეწინააღმდეგება, რადგან, როგორც სომხეთის ნივთიერ კულტურის ისტორიიდან კარგად ცნობილია, თევზი — ვეშაპი წვიმის ღმერთადაც, აგრეთვე ღრუბლადაც მიღებული იყო.

მეორე შეეხება „თხემ“-ს, და „თხემ“ ხნ დაბალ გამოთქმით და ქართულ „თავის“ მსგავსად ბაგის მიერ თანხმოვანების შეცვლით „სხევ“ სწორეთ დასავლეთ ევროპის იაფეტურ ენების იმ ფენას ეკუთვის, საიდანაც ფრანგულს დაუცავს თავის სიტყვა chef, ადრინდელ იაფეტურ გამოთქმით — სხევ.

ფრანგულ და საზოგადოა რომანულ ენებთან ქართულს ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს, როცა მხედველობაში ვღებულობთ გარკვეულ ფენას სათანადო სტადიას წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობისას, რომ, მაგალ., ხშირად ფრანგულს და ქართულს უფრო დაახლოებული ნათესაობა ემჩვენება, ვიდრე ფრანგულსავე და მის თვით საფრანგეთში მკვიდრ მოძმე ენას, რომლის მასთან მეცნიერებაში ერთადერთი ნათესაობა ბოლონდელ, სახელდობრ რომანულ ხანას გლოტოგონიურ პროცესისას ეკუთვნის, სახელდობრ რომანულ ხანას, ან ჩვეულებრივი ენათმეცნიერების ტერმინი რომ ვინმაროთ, ევროპის იაფეტურ ენების გარომაულებას.

მიუხედავად ქართულის და ფრანგულის განსაცვიფრებლად დაახლოებულ ნათესაობისა ხსენებულ გარკვეულ შემთხვევებში, აქ საქმე, ცხადია, იმაში კი არ არის, რომ ქართულს ჰქონია გავლენა ფრანგულზე ან ფრანგულს ქართულზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ევროპის პირვანდელი მცხოვრებნი ყოვილან იაფეტური სისტემის ენით მოსაუბრენი, რომელთა მერმინდელ ფორმაციას შეადგენს სხვა რომანულ ენათა შორის ფრანგულიც.

დროიკ სიმოკლე რომ არ მიშლიდეს, მრავალ მაგალითებიდან ერთზე მაინც შევჩერდებოდით, სახელდობრ ფრანგულ *bouche* (*bocca*) და ქართულ „პირ“-ის ნათესაობაზე. აქ ვიკმარებ მანე მითითებას, რომ თვით ქართული ენა გვიკარნახებს, რომ სიტყვა „პირ“ უწინ ქართულადაც ბაგისმიერი ბგერით განმოვანებული **hūr* — *pur* ყოფილა, რასაც მოწმობს მისი მდაბიო ქართულ ვარიანტი „ფურ“, დატული სიტყვაში „ფურთხა“, რომლის რთული ფუძე „ფურთხ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **პირ, ფურ, წყალი, თხ.** ¹

საზოგადოთ, საფრანგეთის საქართველოსთან ენის მხრით კავშირი ღირსშესანიშნავია თავის სიმძლავრის მოცულობით, უფრო მძლავრით, ოცა გადავდივართ კელტურ ჯგუფის ენაზე, ბრეტონულზე და კიდევ მეტ ძლიერით, როცა ბასკურს ვეხებით..

ბრეტონულს აქ გვერდს ვუვლით, რადგან სრულებით მოულოდნელი სიახლოვე აღმოაჩნდა მას კავკასიის ენებთან, ასე რომ ზოგჯერ საკითხი გვებადება, ეგ სიახლოვე იმის შედეგი ხომ არ არის, რომ კელტები უკვე ისტორიულად ცნობილ ხანებში სახლებულან მცირე ასიაში და კავკასიის ჩრთილოეთით, სკვითებთან ან (ძველებურ სამწერლო ენით სკვთნი) სკუთებთან ერთად და თან პალეონტოლოგიურ ძიება-კვლევით იმასაც მივახწვიეთ, რომ კელტები და სკვითები ერთი სოციალურ ამონაქმის წევრებად მოჩანან, სკვითების მკვიდროება კავკასიაში ეჭვგარეშეა და მათი ენა თვით ქართულში შესამჩნევ ფენას შეადგენს. ენაზე და საუბარზე როცა ვსჯით, დანაშაულობად ჩამომერთმევა, რომ არ გამოვიცხადოთ ქართულ „ლაპარაკის“ ფუძის „ლაპარ“-ის ბრეტონულში არსებობა სახით *lavari*, ლაპარაკი. მოკლეთ რომ ვთქვათ, ბრეტონული ენა იმ სტადიის წარმონაშობი მეტყველება არის, როგორც სომხური, ესე იგი იაფეტურს და პრომეთულ (ინდოევროპულ) სისტემებს შუა გადამავალ სისტემას წარმოადგენს და, წარმოიდგინეთ, მთელი რიგი მოვლენები, მორფოლოგიური მათ შორის, საერთო აქვს ბრეტონულს სომხურთან. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ჯერჯერობით შეუძლია გაიცნოს ჩემი ნეშრომი „*Бретонская диалектная речь в освещении языков Афреазии*“, „ბრეტონული ერმცირესული ენა აფრეევრასიის გამოშუქებით“, რომელიც ახლა სტამბიდან გამოვიდა.

¹. მარტივად ფუძე „თხ“ დაბალი გამოთქმით „სხ“ ნაშთია „წყალ“ თუ „ცხალ“ სიტყვის და იპოვება აგრეთვე ზმაში „თხ-ე +ვა, „სხ-მა“-ს. ნიშნავს ქართულ ძველ სამწერლო ენაში.

აქ ის დავსძინოთ, რომ ქართულსაც დამოუკიდებლად კავშირი აღმოუჩნდა ბერბერულ ენასთან პირვანდელ სიტყვების წრეში და მერმინდულში, სხვათა შორის **წყლის** და **სმის** სახელები, კოსმიური საგნების და ნათესაობის ტერმინები და სხვანი.

რასაკვირველია, ბრეტონული ენა ერთი მხრით ბრიტან-ირლანდიაში მიგვიძღვება, ენის კავშირი კიდევ უფრო მაგრდება, მეორე მხრით მასვე განსაკუთრებითი განწყობილება აქვს ბასკურთან, რომელსაც აფრიკაში გადაყავართ.

აქ საქმე არ ჩერდება, რადგან თუმცა პირადად ჩვენს კვლევა-ძიებას უფრო შორს აფრიკის სიღრმეში და შორს აფრიკაში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები წინ ელობება, მაგრამ თვით აფრიკის ენების სპეციალისტებს ჩვენს წისქვილზე საფქვავად მასალა და მოსაზრებებიც მოაქვთ, რომელნიც ისე ებმებიან იაფეტურ თეორიის მიღწევებს, როგორც ფრანგ ამერიკანისტმა Rivet-მა თავის დასაბუთებულ ლტოლვაში ამერიკის ადგილობრივი ენები გამოიყვანა, ნაწილათ მაინც, ასიიდან შეგვხვდა ჩვენ პირიქით მიმართულ ძიებაში; რომელიც შეგვიჩერდა პალასიურ ენებზე.

დროა შინ დავბრუნდეთ. სად? საქართველოში ან კავკასიაში? არა! მაშ? იქ, სადაც კაცობრიობას განუწყვეტელ აღსვლით საფეხურიდან საფეხურამდე პალეოლითურ ხანიდან და პირვანდელ ენით ბგერითი ენის ელემენტებიდან მიულწევია უძალეს განვითარების სტადიამდე. კავკასია, საქართველოც, რასაკვირველია, ამ საერთობინიდან გამოკლებული არ არის, მაგრამ მას ჰქვია ხმელთაშვაზლვეთი, რის დასავალ და აღმოსავალ მიჯნებზე ჩარჩენილან ევროპის პირვანდელ მცხოვრებთაგან უძველესი ერები, დასავლეთი ბასკები.

ბასკებთან ნათესაობა ეგრე ღრმად ჩამჯდარი აღმოჩნდა, რომ იმავე აზრის გამოსაშუქებლად დაწერილი ცდა „პირენეულ გურიიდან“ ჯერჯერობით საკმაოდ მახასიათებელია მდგომარეობის.

უკანასკნელ წლებში კვლევის იმ დონეზე მივაწიეთ, რომელზედაც მთელი კაცობრიობის ენა ერთეული შემოქმედებითი მსოფლიო პროცესის ნაშედეგარად ირკვევა.

დედამიწაზე არ სუფევს ენათა არავითარი ჯგუფი, არცერთი ენა, რომელიც აღორძინებულ იყოს აღნიშნულ ერთეულ ენის შემქმნელ ან გლოტოგონიურ მსოფლიო პროცესისგან დამოუკიდებლად.

ენათმეცნიერება ხდება, უკვე გახდა მონისტურ სწავლად.

ამისდა გვარად ენის წარმოშობის და განვითარების ზოგადი სწავლა წარმოადგენს იმავე საგნის მსოფლიო ისტორიას, რომლის მიუღებლად და შეუთვისებლად შეუძლებელია კერძო რაგინდარა ენის ან ენათ ჯგუფის წარმოსაშობო საკითხი გამოშუქდეს.

ამ მონისტურ დებულების დაბეჯითება თავის მხრით შესაძლო შეიქმნა ორი დედაბოძურ აღმოჩენის ან ფაქტიურ მოვლენის დადასტურების შემდეგ. ერთი მათგანი პირველ გამოცხადდა 1924 წ. გამოქვეყნებულ მოკლე შენიშვნაში სათაურით „Индоевропейские языки Средиземноморья“ — „ხმელთაშუაზღვეთის ინდოევროპული ენები“. ¹ აქ მარტოკა გამოცხადებულ, მაგრამ თანდათან გამოქვეყნებულ დასაბუთებით დამტკიცებულ დებულებით ძირი ამოუვარდა ყოველგვარ რასიულ წარჩინებულებას, სურსათი მოესპო ყოველ მძლავრთა ლტოლვას, თავისი გაბატონება გაემართლებია შობიდან დაყოლილ უცნობ წყაროს ნიჭიერებით და განსაკუთრებული საწინააღმდეგო სისხლით. ენების სხვადასხვა თვისებით საცნობო ჯგუფებს დასახელება გამოეცვალა: ოჯახის (семья) მაგიერ დაერქვა სისტემა. ამ აღმოჩენის შემდეგ ექვსი წელი გადის, მაგრამ დღევანდლამდე ძველ სკოლის ენათმეცნიერების წრეში ეგ მარტივი აზრი შეგნებული არ არის. დასასრულ, არც ის საბოძური დებულება უნდა დავივიწყოთ, რომ დედაბიწაზე არ სუფევს არც ერთი ენა, რომ ბუნებით შექმნილი ყოფილიყოს. ყველა ენა კაცობრიობის შრომით შექმნილია, კაცობრიობის ჭირნახულობით გავლილი საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ ფუძეზე, წარმოებაზე და საწარმოო განწყობილებებზე აღმოცენილ მოვლენად გამოდის, აგრეთ წოდებული ზედნაშენი კატეგორია გახლავს. და არც ერთ ენაში არ იპოვება ერთი ენის შემადგენი ერთი ნაწილიც, რომ ოჯახურ მშენებლობის, მისთვის საჭირო წარმოების, წარმოების ტექნიკის, საწარმოო განწყობილების შეგნებაში გატარებული და აგრე შექმნილ-ჩამოყალიბებულ არ იყოს არა თუ სიტყვა, მთელი ლექსიკონი, არამედ ყოველი გრამატიკული ნაწილი, მთელი მორფოლოგია და ყოველი თვით ბგერათ კანონზომიერი სუფევა, მისი ცვლილება, სხვადასხვა სახეთ თანასწორი ფუნქციით ხმარება.

უმთავრესი საგანი სიტყვების ფორმალურ ახსნაში გახლავს, ოთხ ლინგვისტურ ელემენტის შეგნება და შეთვისება. ახალი სწავლა, იაფეტური თეორია, უკუაგდებს განცალკევებულ ბგერათა ფეტიშურ თაყვანისცემას, მათ გრამატიკულ ფუნქციისაგან დამოკიდებულ

სტატიურ განყენებულ მნიშვნელობის უძრაობას და ხელმძღვანელობს, შედარების ადრე, სემანტიკის პალეონტოლოგიით აღმოჩენილ ფონეტიკურ ცვლილებების კომპლექსობას, წარმომდინარეს ამ კომპლექს ბგერების ერთადერთ მთელ სიტყვად ყოფილობას ენის სტადიურ განვითარების უძველეს საფეხურზე, და ეს მარტივი სიტყვები, შეადგენენ რა ოთხ ლინგვისტურ ელემენტს, თავის აგრეთვე ცვალებად მნიშვნელობით ენის განყენებულად მიჩნეულ მოვლენებს უკავშირებენ საზოგადოებრიობას და მის ფუძეს, წარმოებას და თან მატერიალურ კულტურის აგრეთვე ცვალებად ფორმაციას.

ოთხ ელემენტის რთულ თავგადასავალს, მათ გამრავლების ტექნიკას და მათ იდეოლოგიურ ხმარების ზრდას იმ ხარისხის ცვალებადობა სჭირს, აგრეთვე ცვალებად წარმოებაზე და საწარმოო განწყობილებაზე დამოკიდებული, რომ სემანტიკის კანონების შეუგნებლად შეუძლებელია მშობელ და წარმოშობილ სიტყვების ნათესაობა შეემჩნიოს მაშინაც, როცა იგინი სახით ერთმანერთს ძალიან დაახლოებით წაჰგავან ან სრულებით ერთდაიგივეობენ.

ხშირად ერთ და იმავე ელემენტისგან წარმოშობილ ორ სიტყვას დიამეტრულად ერთმანერთის მოწინააღმდეგე მნიშვნელობა აქვს, მაგალითად სიტყვას „წყალ“ს და „ცეცხლს“ **წყლის** მნიშვნელობით. მისი ვარიანტი „ცხალ“ „კურცხალ“ რთულ სიტყვაში ჩარჩენილია: „კურ-ცხალ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **თვალის** („კურ“) წყალს („ცხალ“) და **ცეცხლის** მნიშვნელობით ერთხელ იგივე „ცხალ“ ყოფილა, აურ განხმოვანებას მოკლებული თვით „ცეცხლ“ სიტყვაში, როგორც მისი ქანური სახე „დაჩხური“ გვისაბუთებს. რაც შეეხება პირველ მარცვალს ქართულ სიტყვისას „ცე-“ და ქანურისას „და-“, შემდეგ დანართია, სწორეთ იმ ხანის, როცა ორ ძირითად განსხვავებულ მნიშვნელობის მექონ ერთ სიტყვას ცდილობდნენ ამ თუ იმ საშუალებით გადასხვაფერებას, რომ საორჭოფო მნიშვნელობისათვის თავი დაეხწიათ. მარტო „ცეცხლ“ სიტყვაზე რომ შეეჩერდეთ, წინარე გამოთქმულს „ცეცხალ“, „ცე“ ნიშნავდა **ზეცას**, რადგან ცეცხლის სახელი წარმომდგარია **ცის** მონიშნავე „ცხალ“ სიტყვისგან, რომელიც **ცასაც** ნიშნავდა, **ზეცას** და **ქვეცასა**, **ქვესკენელს** **ზღვითურთ**, მაშასადამე **წყალსაც**. როგორც ხედავთ, „ცეცხლ“, ერთხელ „ცე-ცხალ“ ისეა წარმოებული, როგორც მისი სინონიმი „ზე-ცა“.

ჩვენ აღარ ჩავსდევთ მას, თუ რაღარა საშუალებისთვის მიუმართავს ენას, ესე იგი მის შემქმნელ მშრომელ კოლექტივს, მრავალნიშნოვან ერთელემენტოვან სიტყვიდან რომელიმე გარ-

კვეული მნიშვნელობა მარტოკა ერთი ბგერის შეცვლით განემტკიცებია, მაგალითად „წირ“ სიტყვა, რომელიც ცახაც ნიშნავდა, საიდგანაც მისი მნიშვნელობა წრე, სომხურში დაცული „წირ“, ქვეყანასაც, საიდანაც მისი, უკვე მეღერ ბგერითი გამოთქმით „ძირ-“ ქვემო-ს მანიშნი: „ძირ-ს!“.

ცხადია, რომ ამ ოთხ ლინგვისტურ ელემენტის ანგარიშ-გაუწვევლად ყოველ რეალურ საფუძველს მოკლებულია ეგრეთ წოდებული კომპარატიული, ე. ი. შედარებითი მეთოდი.

განსაკუთრებით ხელსაყრელია ოთხ ელემენტის მიკვლევით იმ სიტყვების ანალიზი, რომლებიც წარმოადგენენ ერთ და იმავე მნიშვნელობის მექონ ორ სიტყვის შეუღვლილს ან შეტყუბულ ნაწარმოებს, როგორც შედეგს ორ სოციალურ ჯგუფის, შემდეგში ორ ეთნიურ აღმონაქმის შეჯვარედინებას.

ხშირად ასეთი შეუღვლილი აღშენებულობა მრავალნიშნოვან სიტყვის წრეში ძირს იბამს მაზე მარტო ერთ მნიშვნელობის მისაკუთრებით მაგალითად—

ცახ, მიწახ და ზღვახ სტადიურ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ერთ და იმავე სიტყვით გამოთქვამდენ. შემდეგში, როცა პოლისემანტიზმიდან (მრავალმნიშვნელიანობა) მონოსემანტიზმზე (ერთმნიშვნელიანობა) გადასვლის მოთხოვნილება შეიქმნა, მკაფიოდ მეტყველების მოსაგვარებლად შეუღვლილ სიტყვას ხმარება დაუწყეს მარტო ერთდაერთ მნიშვნელობით. ამიტომაც „ცა“ აღრე „ძა“, მის წინარე „წა“, რომელიც ნიშნავდა ქვეყანასაც და ქვესკნელსაც, თან ზღვასაც, ქვესკნელი-სათვის; მაშასადამე ზღვ-ისთვისაც განაგრძობდენ მის ძველ დიფუზურ თქმას—„წყალ“, და მართლაც ეგ ჩვეულებრივ ისტორიულ ხანებში ყოველგვარ წყლად ცნობილი პირველხანს კოსმიურ საგნის ზღვის გამოსათქმელად ხმარებულა და რომ ეს დიახ ასრე იყო, მისი დამაბეჯითებელი ფაქტი გახლავს სხვათა შორის მისი ებრაულში შიშინა-ბგერულ ჯგუფის სახით ჩარჩენილი იაფეტური რელიქტი შყაოლ, რომელიც სწორედ ქვესკნელს ნიშნავს.

რაც შეეხება შეკვეცილ სახის ორ ვარიანტს ციხას, მეღერ ბგერითი „ძა“ ბერძნულშია დარჩენილი. მიწის მნიშვნელობით, ქართულში კი, მისი ფრიკატიობას მოცილებული სახე „და“, თანდებულია ზმაში, მაგ. და-აგდო“ ნიშნავს ქვემო-ს, ძირს, როგორც შეეფერება ქვეყანა» სიტყვის მანიშნ ელემენტს. მასთანავე იგივე „და“ შემადგენელია ორელემენტიან (AB) შეუღვლილ ზედსართა-

ვის „დაბალ“ და მისგანვე ნაწარმოებია ერთგვარი შედარებითი ხარისხი „და-რე“, **დაბალი ხარისხის, დაბალი გვარის**. ყრუ ბგერითი „წა“ აფხაზურშია დაცული მარტივად: ქვესკ ხელის მანიშნ ქვემოთ, ქართულში კი რომ პირდაპირ და მარტო **ქვეყანა** და აღარ ცა ან **ქვესკნელი** ენიშნა, ხმარებულა შეუღვლილ სიტყვის სახით „მი-წა“, რომლის პირველი ელემენტი, „მი“ წინარე „მუ“ შიშინა ჯგუფის გახმოვანებით აგრეთვე **მიწას, მხარეს** ნიშნავდა, როგორც გვიმოწმებს მისი არსებობა შეუღვლილ სიტყვაში შესაფერ ენის, მეგრულის - მუ-ხური, **ქვეყანა, მხარე** და მარტოხელა „მუ“ ჩრდილოეთით ფინურ ჯგუფის სათანადო ენებში, მაგალ. კომიურში (ზირიანულში) და სამხრეთით ბერბერულში, რომლის სახესაც განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც გამოკვლეულია დაწვრილებით ერთ-ერთ ჩემ ნაშრომში, სიტყვების პოლისემანტიკური მდგომარეობა, სტადიულ განვითარების ძველთა ძველ საფეხურის მახასიათებელი, ქართულ ენას დიდხან ჩამოყოლია და ზოგი მისი თავიდან მოსაცილებელი ფორმალური საშუალება სულ ახალ დროის ნამუშევარი რამ არის. მაგალითად წყლის დაღვეისთვის ვიტყვით **შე-სმას** და არასდროს **დასმას** და ხელის დაღებისთვის **დასმას** და არას დროს **შესმას**, თითქო **წყლის სმას** და „შე-“ თანდებულს შუა უფრო მჭიდრო რამ კავშირი სუფევდეს და მიტომაც „შე-სმას“ ვამბობდეთ და **წყლის სმას** და „და-“ თანდებულს შუა თავიდანვე რამე საწინააღმდეგო ჰქონდეს, მიტომაც მათ შეერთებას პირმშო მიზეზი აბრკოლებდეს და იძულებულად ქართველი კოლექტივი მიგდებული ყოფილიყოს „წყლის შესმის“ თქმაზე და არა დაუშვებელ „წყლის დასმაზე“. არავითარი პირმშო და კოლექტივის მიერ წარმოებულ მსჯელობის და ამორჩევის გარე ძალას აქ არ უმუშავია: თუ წყლის „დაღვეას“ იტყვიან, წყლისვე „დასმა“ დიალაც შეიძლებოდა, რომ „სმა“ ზმისათვის პოლისემანტიზმს (მრავალმნიშვნელობა) ხელი არ შეეშალა და მათ სადიფერენციაციოდ „და“ და „შე“ თანდებულების ნამსჯელობი ამორჩევა არ მოეხდინა სათანადო კოლექტივს.

დასტურაც უთანდებულოდ სმა, ძველმწერლობითი „სუმა“ **წყლის სმასაც** ნიშნავს და **ხელის დაღებასაც**, და მიზეზი ის არის, რომ პალეონტოლოგიით აღმოჩენილ ერთ სემანტიკურ დებულებისდაგვარად სამი მნიშვნელობა **ხელი—ქალი—წყალი** განსაკუთრებით ერთ და იმავე ცნებისგან წარმოშობილ ჯგუფს შეადგენდენ, და ეს ისაბუთება არა მარტო ფორმალური მხრით, რაოდენ თვით სიტყვები «ხელ», «ქალ» და «წყალ» ერთ და იმავე ელემენტის ვარიან-

ტებს წარმოადგენენ და თითო ვარიანტი ან განცალკევებულ სოციალურ ჯგუფს კუთვნიებულ ან ორი ჯგუფის ნაშედგეგარი ამოცალიბების მექონია, ჩვენ შეგვეძლო ამ აზრის ფორმალურ მხრივ უფრო ნათლად დასანახად სხვა, წმინდა ქართული ვარიანტი ამოგვეჩია, სახელდობრ „ძალ“, რომელიც ნამდვილ და არა გამოგონილ ქართულ წინარენაში **ხელსაც** ნიშნავდა, **ქალსაც** და **წყალსაც**, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, საქმე აქ ფორმალურ დასაბუთებაზე არ გახლავს დამოკიდებული, ამ სამნიშვნელობის ერთეულობას წარმოშობითი ასახსნელი წყარო სამი სამეურნეო-საზოგადოებრივ საგნის კავშირია: წარმოების, რომლის იარაღი **ხელია** და სოციალურ წყობილების, რომლის წარმომადგენელი **ქალია** უძველეს მატრიარქულ ხანაში განსაკუთრებით და **წყალი** კოსმიურად **ზღვა** და **ცა**, **ქვეცა**, რომელიც შესაფერ ხანის სოფლ-მხედველობის და სათანადო რწმენა-წარმოდგენის მომასწავებელია.

მაგრამ დავუბრუნდეთ «სუმა» სიტყვას. ამ «სუმის» ფუძეს, თავის დროს სახელს „სუ“, რომელსაც **წყლის** მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ წყლის „სუ-მა“ ზმა ეწარმოებიათ და „ხელისაც“, რომ ხელის სუ-მა (დება) ზმა ეწარმოებიათ და ისიც დავუბრუნოთ, იგივე „სუ“, მისი მთლიანი სახე „სურ“ ნიშნავდა **ქალსაც**, საიდანაც მომდინარეობს ის ფაქტიური მდგომარეობა, რომ ეგ სიტყვა **ქალის** მნიშვნელობით შეუღვილილ სიტყვაშია დაცული ქართულს „ა-სულ“, მეგრულჭანურ „ო-სურ“ შეუღვილილ სიტყვებში, ახლა ისიც გამოკვეთულია, თუ რატომ შეუღვილილი სიტყვა აურჩევიათ ამ შემთხვევაში ასეთი მარტივი ცნების სათქმელად და ისიც და დაბეჯითებით გამოშუქებულია, თუ დასაწყის ხმოვანს ქართულში „ა“ნს. ჭანურ-მეგრულში „ო-“ნს რა იდეოლოგიური საბუთი აქვს, ამ ცნების შეუღვილილ ტერმინში რომ თავი ამოუყვია, და უკანასკნელ ისიც გამოკვლეულია შეუბღალველად, სწორეთ ქართული ვარიანტი თავის „ა“ სიტყვით, რომელიც არა მარტო **ქალს**, არამედ აგრეთვე **ხელსაც** ნიშნავდა და **წყალსაც**, სხვათა შორის უკავშირდება უახლოესად შუმერულ ენას.

მაგრამ ჩვენ საუბრის ინტერესების მიხედვით ახლა ვიკმარებთ იმ უკანასკნელ საკითხის დაყენებას „სუ“, მრთლივ „სურ“, რას ქართულში „სულ“ სიტყვის შესახებ, თუ ქართულ წინარენაში სუფევდა ეგ სიტყვა თუ არა? ესეც დაბეჯითებულია პალეონტოლოგიით, რომ ეს სიტყვა ქართულ ენის რთულ შედგენილობის, მის სიმდიდრის მომასწავებელია, რასაკვირველია, ოღონდაც შემოტანილია

შიშინა ჯგუფის ენიდან, მეგრული იყოს, გინდა ქანური, გინდა სხვა ენა, ჩვენამდი არ მოღწეული, ეგ სულერთია, მაგრამ ისიც უნდა დავუერთოთ საბოლოოდ, როგორც ეჭვის გარეშე თქმა, რომ „სურ“, მით უმეტეს ქართულში ხმარებული «ასულ» **ქალის** და მისთანათა ცნებების გამოსათქმელად, თავის მხრით მეგრულ-ქანურშიც ხელნახლებია სისინა ჯგუფის სოციალურ თანახმოვანებზე მიმგსგავსებული, სათანადო წარმოებითი საზოგადოებრივი დასის მოქმედების გამოიხობით, თორემ ნამდვილი მშობლიური სახე შიშინა ჯგუფში, თვით მეგრულ-ქანურში უნდა ყიფილიყო «შურ» ან დასაწყისი თანხმოვანის აწევით «ჩურ», შემდეგში **ჩირ** ან **ჩილ**, რაც მართლაც დაცულა ხსენებულ ენებში დღემდე. ვფიქრობ, ჯერ-ჯერობით თქმულიც კმარა.

ახლა და თან არ ვიცი, ამხანაგებო, ღირს გავაგძო კიდევ ეგ საუბარი, რომელიც ლამის ძნელ მოსანელებელ ლექციად გადაიქცეს და რომელსაც ლაბორატორიული გამუშავება სჭირია, რომ უფრო ადვილ მისაღებ დებულებად გახდეს? უნდა მოვახსენოთ, შემდეგი სათქმელი უფრო რთული საგანი გახლავს და თქვენზე მიმიგდია გადასაწყვეტლად, განვაგრძო კიდევ საუბარი თუ შევწყვიტო?

მაშ, გადავიდეთ მეტი სიძნელით მოცულ ზედნაშენ კატეგორიის სიტყვათა პალეონტოლოგიურ ანალიზზე.

„გემო“, სრული სახე მისი გემორ*, საიდანაც წარმოშობილია ზედსართავი სახელი „გემრიელ“, მთლიანად აგრეთვე „გემბრიელ“, თავის მნიშვნელობით ზედნაშენ განყენებულ ცნებას წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობითი ფუძე გახლავსთ **ცა**, **ხახა**, **პირისცა**, პირველში საზოგადოდ **ცა**, რუსული **хѣни** და «**хени**»-სდა გვარად. ფუძის ქართულ შემოკვეცილ, ბაგისმიერ ბგერის დაკარგულ „გემო“ სახეზე უფრო დაზიანებულია სომხური ძველსამწერლო მისი ტოლი **գիւթ** (ქიმე), ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში ხმარებული —**գիւթ-զ** (ქიმე-ქ), რომელიც ჯერ ადრე **ცას**, **ხახას**, **ხარხასაც** ნიშნავდა სომხების ძველ სამწერლო ენაში და იქავე ის, **გემოს** მნიშვნელი, მრავალს დერივატს, ესე იგი **გემოისგან** წარმომდინარე აზრს გამოთქვამს ხოლმე, მაგალითად—**ხალისს**, **გუნებასა**. და ხალხურ რთულ «ქმა-ჰაჰო» სიტყვაში, შედგენილია რა **კაპრიზის**, **თავისნების** მანიშნებელად, სიტყვა სიტყვით **გემოის სასიამოვნებელი**, თვით ჩვენი სასაუბრო ქართული სიტყვის „გემო“ს სომხური უფრო შეცვლილი სახე „**գիւթ**“, ერთდროს ***gime** ხალხურ სომხურის გახმოვანებას იჩენს, თავდაპირ-

ველად კი ქართული „გემო“ «*gime*», უწინ **gimo*, თავის პირველი მარცვლის გახმოვანებით განურჩევლათ ერთ და იმავე სოციალურ ჯგუფს კუთვნიულა, და თუმცა სომხურ კილოვანების სტრატეფიკაციის მიხედვით *gimə*, ადრე **gimi*, ხალხურად გახმოვანებულია, ხოლო *gimo* სრულებით არ დაცული სომხებში, სომხურ სამწერლო გახმოვანების მექანიზმა, იაფეტურ ნიადაგზე გადატანილი ახლადაც მყოფი სტატიური მდგომარეობის მიხედვით ორვე პირველ მარცვლის გახმოვანებითაც და მის დასაწყის ბგერითაც სვანურ ენის კუთვნილებას შეადგენს, კერძოდ მის სპირანტულ ფენას უნდა მიესაკუთროს და თუ მეორე მარცვლის ოური განხმოვანება „გემო“ სხვა სოციალურ ჯგუფის დამახასიათებელია, სახელდობრ შიშინა ჯგუფის, არც ეს ეწინააღმდეგება სიტყვის მთლიანობით სვანურისთვის მისაკუთრებას, რადგანაც სვანები, ერთხელ ღირსშესანიშნავი თავის ისტორიულ დიად მშენებლობით ერი, ლაპარაკობენ შეჯვარდინებულ სპირანტულ-შიშინა ენით.

ქართულს თუ კიდევ დავუბრუნდით, „გემო“ სიტყვის საბეც გვაქვს, რომელიც თავის პირველი მარცვლის აურ გახმოვანებით ქართულ ენის მკვიდრ ფენაზე მისასაჯია, ოღონდ დასაწყისი ბგერა «*გ*» დაბალი საუბეხურით «*ll*» არის ძველ მწერლობაში წარმოდგენილი, ახლა კი ისიც დაუკარგავს და ეს გახლავს თქვენი კარგად ცნობილი ძველსამწერლო „ჰამო“ თუ არა, ხალხური „ამო“ ხომ მაინც **სასიამოვნოა**, ადრე **გემრიელიც?**

მაგრამ პალეონტოლოგიით ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ ენის სტადიურ განვითარების ერთდაერთ ადრინდელ (უწინდელ) საუბეხურზე ზედსართავი არავითარი ფორმით არ იყო ჯერ გამოყოფილი. იგივე არსებითი სახელი თავის მიღებული სახის სრულებით შეუცვლელად, მარტოკა წინადადებაში კუთვნილ ადგილის დაჭერით «ადექტივის» ან ზედსართავის განმსაზღვრელ სამსახურს აწარმოებდა და მაშასადამე „ჰამო“ სიტყვას უწინ ჰქონია არსებითი სახელის მნიშვნელობა. ეგ მნიშვნელობა უკვე გამორკვეულია სემანტიკის ანუ მნიშვნელობათა პალეონტოლოგიით, სახელდობრ, როგორც „გემრიელი“ დაბოლოებით „იერ“, (ლას-ი რე-ს მაგიერ, ერთ სიტყვაში

ორი რე თანხმობის შეხვედრის ნაშედეგად, შეადარე ზედსართავი „შვენ-იერ“) წარმოებულია „გემო“ არსებითი სახელისგან, აგრეთვე ენის სტადიურ განვითარების ხსენებულ ადრინდელ საფეხურზე ზედსართავი „ჰამო“ **სასიამოვნო**, მატერიალურ აზროვნების დარგში **გემრიელ-ს**, აგრეთვე **გემო-ს** ნიშნავდა, უკეთ ვთქვათ არსებითი სახელი **გემო-ს** მანიშნი „ჰამო“ **გემრიელ** ზედსართავის სამსახურს ასრულებდა, ოღონდაც რაღათურთ დაბოლოების მიუღებლად. და დასტურაც „ჰამო“ სიტყვა, ქართულში მარტოკა **სასიამოვნო** ზედსართავი, **გემო** არსებითი სახელის მნიშვნელობით დაუცავს სომხურს, სადაც იგი ამ ენის სათანადო ფონეტიკურ მოთხოვნისდაგვარად გამოითქმება ბოლონდელ ხმოვანის შესუსტებით **hamo**, («ჰამჲ») ხალხურში უკვლოდ დაკარგვით **ham** («ჰამ»).

ესეც დავსძინოთ, რომ «გემრიელის» და «ჰამოს» წარმოებაში სემანტიკის მხრით ის განსხვავება სუჟევს, რომ თუ «გემრიელი» ც-«გემო»ც, მის ადრინდელ მატერიალურ მნიშვნელობის **პირის ცის**, (ხახის) მიხედვით ზედნაშენ ცნებას წარმოადგენს, ქართული «ჰამო» **სასიამოვნო** უფრო მაღალ ხარისხის, უფრო განყენებულ ზედნაშენ სიტყვად უნდა ჩაირიცხოს. მაგრამ თქმულით დიალაც არ თავდება «გემო» სიტყვის ისტორია, პალეონტოლოგურად უკვე გამოშუქებული.

მართლდაც, ახლა ყოველ ეჭვს გარშეა, რომ «გემო», სრული სახით «გემორ», ზედნაშენი სიტყვა არის მნიშვნელობის მხრით ისეთი მატერიალურ ფუძის, როგორც **ხახა**, **პირისცა**, მაშასადამე, კოსმიურ მხედველობით—საზოგადოთ ცა, და როდესაც გავითვალისწინებთ, რომ „ზეცა“, თვით „ქვეცა“ სიტყვა ცნობილი დღესაც ქართული ზღაპრებიდან ანუ „ქვეყანა“ და პალეონტოლოგიის უტყუარი დაბეჯითებით „ზესკნელიც“ და „ქვესკნელიც“ ასეთი თანდებულებით, როგორც „ზე-“ და „ქუე“, თავის თავად ფაქტიურად გვეუბნებიან მასვე, რასაც ჩვენი სამკვლევრო საშვალეები მეტის გამოწვლილვით და შეგნებით მკაფიოდ გვადასტურებინებენ. სახელდობ რას? მას, რომ სამ კოსმიურ სიპრტყეს—**ზეცას**, **ქვეყანას-მიწას** და **ქვესკნელს** ან **ქვეცას**—**ზღვას** ერთ რიგად სახელად ჰქონიათ

„ცა“-სავით „ყანა“-ც, რა აზრითაც იგი ნახმარია „ქვეყანაში“, **ქვესკნელ**—**ზესკნელის** საერთო ნაწილისაც, ესე იგი ცალკე არ დაცულ „სკნელ“-ს და „გემო“-საც, თან სომხურ *qim*-საც, ნახსენები სინონიმების და მათ ვარიანტების ქსელი ანადგურებს ქართულზე გამეფებულ აზრს, თითქო იგი განმარტოებული რამ მოვლენა იყოს, ქვეყნის ყველა ენებზე მოწყვეტილი. აქ შეეჩერდები მხოლოდ ქართულ-სომხურ საერთო სიტყვა *gemo-qim*-ზე. დასტურაც, ამ ორ ვარიანტიდან სომხური-*qim*—ადრინდელ სახით, ჟღერითი ბგერით, გამოთქმული *qim* კიდევაც დაცულა **მიწის**, ესე იგი **ქვეყნის** მნიშვნელობით სვანურში. მაგრამ სვ. *gim* სომხურ *qim*-სავით ბოლოზე მოკვეცილია, როგორც გვაფრთხილებს მასში ცხად ორ ლინგვისტურ ელემენტის ანგარიშის გაწევა და აგრეთვე მისი ქართული ვარიანტი *gemo*, მრთლივ **ge-mor*. მაგრამ სვანურ-სომხურ *gim*→*qim*-ის აღსადგენელი ბოლო ონით იყო განხმოვანებული, როგორც მისი ქართული ვარიანტი *gemo*←*gemor* გვიკარნახებს. თუ სვანური ენის ამ შემთხვევაში სათანადო ხმოვანს *e*←→*i* მივყვევით, უკანასკნელ შემთხვევაში *qim*←*gim* აღვედგინება სახით *gimel*, რომლის სიმართლე და სინამდვილე მრავალ მხრით იმოწმება. ვიკმაროთ შემდეგი ფაქტები: *gimel*'-ის და *gim*'-ისაც ყრუბგერითი სახენი *kimel* და *kim* ძველ სამწერლო ენას, ქართულ ენას აქვს დაცული რთულ სიტყვაში «კიმკიმელ» *kimkimel* **ცათა ცა**, ამავე სიტყვის ვარიანტი გახლავს იმავე მნიშვნელობით ქართ. «ჭიმჭიმელ», სხვათა შორის, კარგად ცნობილ ქართველ ფილოსოფისის, იოანე პეტრიწის მეტსახელი.

2) *gimel*, ჟღერით ბგერის სპირანტამდი დაშვებით *himel* წარმოადგენს იავეტურ წინარსახეს გერმანულ *himmel*-ის, რომელიც ნიშნავს **ცახ**, მაგრამ ნიშნავდა აგრეთვე **მიწა**-საც, როგორც ადასტურებს *himel*—ის სიბილანტი სახე *zemel*-e, იავეტური წინარსახე რუსული სიტყვის «земля», სავსებით «земель».

ამგვარად კიდევ დადასტურებულად ვხედავთ, რომ «ცა» ნიშნავდა **ზეცა**-საც და **ქვეყანა**-საც, მაშ გვაკლია ქვესკნელ ზღვის მნიშვნელობა, არა? არც ეს გვაკლია! მართლაც, ქართული სიტყვა

«გემო» გემო რომ ავიღოთ, საესებით *გე-მოი, წინეთ ცას მნიშვნე-
ლი და მისი შემადგენელი ორი ელემენტი (AB) გე და მოი, თითო
მათგანი აუცილებლად მისვე აღმნიშვნელი, რასაც მათგან შეულ-
ვლით წარმოშობილი რთული სიტყვა *გემოი ნიშნავდა, ესე იგი
ცა-ს, წინარენაში სამივე ცის, ესე იგი ზეცის, მიწის და
ზღვის, მაშინ ადვილად მივხვდებით, თუ რატომ პირველი ნაწი-
ლი ჩვენი სიტყვის გე (←-გე) ბერძნულ წინარენიდან იაფეტურ
სისტემას დაუცავს მიწის მნიშვნელობით და რატომ მეორე, მისი
მეორე ნაწილი მოი ზღვის მნიშვნელობით რუსულს დაუცავს. ამ
სიტყვების სტრატეგიკაცია ვრცელ ქსელს წარმოადგენს, სადაც
ინახულება სხვათაშორის თვით ფინური ჯგუფის წარმომადგენელი,
მაგრამ ჯერჯერობით და განსაკუთრებით ჩვენი დღევანდელი სა-
უბრისთვის თქმულიც კმარა.

ჯერ კიდევ თავის სამაგისტრო თხზულებაში Государственный
строй древней Грузии и древней Армении“ „ძველი საქართველო-
ის და ძველი სომხეთის სახელმწიფო წესწყობილება“, პროფ. ჯაფა-
ხიშვილი ეძიებდა გამოწვლილვით, თუ რას მოასწავებენ საზოგადო-
ებრივ მშენებლობის ტერმინები „ქალაქ“ და „სოფელ“¹⁾.

„სოფელ“ ახსნილია ერთგვარ გაკვირვებით, რომ სიტყვას სა-
მი მნიშვნელობა აქვს ერთი სოფლის, მეორე—ქვეყნის, მხარის
და მესამე—მსოფლიოს, და ძიება არის ნაწარმოები, თუ რომელი
მნიშვნელობა პირვანდელია და რომელი მერმინდელი. საქმე იმაშია,
რომ პალეონტოლოგიის ძალით ახლა ვიცით, როგორც ზოგადი
მოვლენა ერთი და იგივე სიტყვა ნიშნავდა ყოველ ნაშენ ად-
გილს, სახლი იყო იგი, სოფელი, ქვეყანა, მხარე, გინდა მსოფ-
ლიო, ქვეყნიერება და გინდა ქალაქიც, აგრეთი მდგომარეობა-
იმოწმება თვით ბასკურშიც, სადაც hir=ჰირ აგრეთვე მრავალ-
მნიშვნელოვანია. ამ ბასკურის სიბილანტური ვარიანტი წირ
მისი ტოლით *წერ დატულა სომხურში, სადაც წერ წრეს ნიშ-
ნავს და ქართულში, სადაც წინა ქართული *წერ მერმინდელი ქარ-

1) 1905. 33 განსაკუთრ. 39. 11.

თულის გამოთქმით თვით იგივე „წრე“ გახლავს. წინარბასკურში ამ სიბილანტური სახის ვარიანტი «სერ» ნიშნავდა ცას და მერმინდელი რთული ბასკური მისი სახე ser-ი, აგრეთვე ცას ნიშნავს. ცას მის კამარით, მიხვდებით, თუ რა კავშირი აქვთ, ხოლო ცის ხმარებას ნაშენის მნიშვნელობით სულ სხვა კავშირი აქვს—ფუნქციონალური, რადგან ცა თავსაფარველად ირაცხებოდა. როგორც სახელი და ყოველი ნაშენი, რატომ? ესეც უკვე გამოკვლეულია. არა იმიტომ, რომ შემდეგში მდაბიო ან ვულგარულ მატერიალისტურ სოფლმხედველობით ან ტექნიკურ მოსაზრებით ცა ზევიდან გვფარავს, ამ აზრით თავსაფარადაც შეიძლება მიღებულ იქნეს ან ეგრეთ წოდებულ პოეტურ მხატვრობით, ხალხურ თქმულებებშიც რომ იტყვიან: „ცა ქუდად მქონდა და მიწა ქალამნადო“. საქმე სულ სხვაშია. აქაც სტადიურ განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როცა სათანადო სოფლმხედველობის ძალით ტოტემად ცა ჩაისახა, ცას და შესაფერ კოლექტივს ერთი და იგივე სახელწოდება ჰქონდათ, თვით ქართველების დასახელების ფუძე ქართ და სომხებისაც ჰაიკ (ადრე ჰარკ) ნიშნავდა ცას ან ცის შვილს, მზეს და მისთანათა. უმთავრესი აქ შესაგონებელი აზრი ის არის, რომ სახელი ეწოდებოდა პირველში არა ადგილს, არა შენობას, არამედ მშენებელთ კოლექტივს, სიმრავლეს და შემდეგ მხოლოდ ნაშენს, რა გვარიც რომ ყოფილიყოს, ამიტომაც ქალაქების სახელს, მაგალ. საბერძნეთში მრავლობითი რიცხვი აქვს, და რაც შეეხება იმას, თუ როდის რას ნიშნავდა ეგ ტოტემური ცა, სოფელს, ქალაქს თუ ქვეყანას, თვით ქვეყნიერებას, ეგ დამოკიდებულია მატერიალური კულტურის სტადიურ განვითარების საფეხურთ ცვლასა და მაზედ ცვალებად ზედნაშენ სოფლმხედველობის ისტორიაზე. სოფელის ბოლო შემოკვეცილი სახე სუფ, კილოკავური გამოთქმით „სვიფ“ სვანურში მითვისებულია შესაკრებ ადგილისადმი, რუსულად *посадка*, ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ სიტყვას სოფელ, სუფევა—სთან მის შეხვედრას სულ სხვა სარჩული აქვს. სუფევა წარმომდგარია ფუძისაგან „სუფე“, რომელიც ნიშნავდა პირდაპირ ცას და ამისდა ბარად იხმარება ერთი მხრით სამოთხის აზრით, მისგან ნაწარმოები სიტყვა—„სა-სუფე+ე-ელ-ი“ და იმავე სიტყვის ფუძე სუფე, როგორც

ტოტემი ცის, არა თუ მარტო ნათესავურ სიტყვას, მხოლოდ ვარიანტს წარმოადგენს ქართული „უფალ“-იც.

რაც შეეხება „სოფელ“ სიტყვის პირვანდელ მატერიალურ კონკრეტულ მნიშვნელობას, ეს გახლდა გარკვეული მწარმოებელ-საზოგადოებრივი ჯგუფი, შემდეგში კარგად ცნობილი **ეთნოს**—**ნათესავი** შემადგენელ ფენათაგანი, რადგან «სოფელ» «*შუბარ», წინარ ქართული გამოთქმით *სუფალ, საიდანაც სპირანტული სახე **უფალ** არის წმრმომდგარი, იგივე ეთნიური სახელი გახლავს, რაც დაბადებაში ნახსენები **თობელ**||**თუბალ**: არც ის დავივიწყოთ რომ «სუბარ» აღრინდელი სახელია შუმერების, და მის გამოკვლევამ კვალდაკვალ მიგვიყვანა უკიდურეს დასახლებულ ჩრდილოეთამდღი, რაც უკვე გამოქვეყნებულია. ცხადია, რომ არა მარტო ფინებს, ჩუვაშებ რუსებსაც, აღმოსავალ ევროპის პირვანდელ მცხოვრებლებს, იაფეტელების ეთნიურ ახალ გარდანაქმს, როგორც უკრაინელებს უამრავი საერთო მასალა აქვთ ენაში კავკასიის თუ გარეშე კავკასიის იაფეტურ ენებთან, მათ შორის დიად ბევრი ქართულთანაც. აქ მოვიხსენებთ მხოლოდ სიტყვას «ОДИН», ქართულ ძველ სამწერლო «ოდენას, რადგან აქ **ერთის** მნიშვნელია, რომელიც ხმარებულია რუსულ რთულ სიტყვაში «о-динъ» **პიროვნება**, რაც, ესე იგი რუს. «о-динъ» სიტყვა სიტყვით ნიშნავს **ერთი (о)** **სიხა** კოლექტივისგან, ხოლო **სიხა** თავის და თავად გარკვეულ მწარმოებელ სოციალურ ჯგუფის ტოტემური სახელწოდება იყო, რომლის მნიშვნელობაც რუსულ ენაშიც ფრიად დიდია. ტოტემად ყოფილი სიტყვა არს ეგ სიტყვა და იმ ხანის, როცა ტოტემად **ძალღი** იყო და მისგან წარმოშობილია რუსული სიტყვა «ОДНАКА», სხვათაშორის, ამ კოლექტივიდან არის წარმოშობილი რუსული ნაცვალსახელიც, შეკავშირებული მესაკუთრე ჯგუფის და შემდეგ მესაკუთრე კერძო პირის ჯგუფიდან გამოყოფაზე. ჩვენ დრო აღარ გვაქვს, შევჩერდეთ ამ უკიდურეს საინტერესო საკითხზე, რომელიც შეძლებისამებრ უკვე შემუშავებული, მოკლე ხანში დაიბეჭდება. აქ დავამთავრებთ სოფლის გამოისობით წამოვარდნილ აგრეთვე დიდ მნიშვნელოვან საკითხს ქართველების და რუსების ნათესაობაზე, მხოლოდ კვლევამების იმ დასასრულ მიწევნილ დას-

კენას, რომ ქართული „სოველ“, ბოლომოკვეცილად სვან «სუჟ» «სკუ», აღმოჩნდა, ფუძე ყოვილა **ზოგადობის, კოლექტივობის** აღმნიშნავ რუსულ სიტყვის *един-ство* და აგრეთვე საკუთრების აღმნიშნავ *единица*, შემდეგში *единственность*, რადგან პირველ საკუთრება მთელ კოლექტივს ეკუთვნოდა. თვით „он“ ფუძე რუსული სიტყვის *инший, общество* წარმომდგარა იმავე *сов* სახელისგან, ასე რომ ქართული „სოველ“ და რუსული „инщество“ — **საზოგადოება** ერთი წყაროდან წარმონაველა.

„ქალაქ“ მაშინ ირიცხებოდა ნასესხებ სიტყვად, ასურულიდან შემოტანილად ქართულში სომხურის მეშვეობით. ახლაც აგრე სჯის ყველა. „თუმცა ზემომოყვანილი მცირე მაგალითებიდან ჩანს“, ბძანებდა ივანე ჯავახიშვილი, რომ სიტყვას „ქალაქ“ ძველ ქართულშიც ზოგიერთ შემთხვევაში დაუცავს **ზღუდის, სიმაგრის** პირვანდელი მნიშვნელობა და ამ მხრით უსწორდება ადგილობრივ სახელს „ციხე“, მიუხედავად ამისა საგულისხმოა, სირიული *qarqā* სომხ. **ქალაქ** ქართ. **ქალაქ** უკვე სესხების დროს იხმარებოდა როგორც *terminus technicus* ქალაქის და ადმინისტრაციული ცენტრის აღსანიშნავად.

„ამგვარად ქართულში, როგორც სომხურშიც, განაგრძნობდა პატივცემული ავტორი, „არ არსებობს სიტყვა „ქალაქის“ აღსანიშნავად, ეს იმითაც აიხსნება, რომ ორივე ქვეყანაში უძველეს ხანას ძალიან მცირეთ იყო განვითარებული ქალაქური ცხოვრებაო, რომ ადმინისტრაციულათ, დამცველათ, განსაკუთრებით კი ვაჭრობისათვის მსახურების აღმასრულებელი პუნქტები დიახ ცოტათ განიჩეოდენ დანარჩენ ნაშენ პუნქტებისაგანაო“¹.

შემდეგ მოყვანილია ქრისტეს შობის მხოლოდ ოთხი საუკუნის ადრე მოწმობა და ისტორიულად ამოწურულია საკითხი. მატერიალურ კულტურის ისტორიის მხრით ხომ სხვაგვარი დასაბუთება სჭირია, რომ ძველ სომხეთში და თუნდა საქართველოშიც ქალაქთ აღმშენებლობა უარსაყოფლად შეიქმნეს მათში. საქმე სხვანაირად დგას და ისიც არის ყურადსაღები, რომ ქალაქების არსებობის მიღება თუ უარყოფა დამოკიდებულია არა ჩვენ წარ-

¹ გვ. 44.

მოდგენაზე, არამედ მაშინდელ ადგილობრივ მცხოვრებლების მოთხოვნებზე, ასეთი თუ აგეთი ვითარებითი იყო ქალაქი, მაგრამ საისტორიო ფარგალში ჩვენ არ შევდივართ აქ. მაგრამ ლინგვისტურად რომ ვარწმუნებდით მსმენელებს ყველანი, მათ შორის მეც, თითქო სიტყვა — „ქალაქ“ ასურეთიდან, სჯობს ითქვას სირეთიდან, შემოტანილი არისო, ვინ უზრუნველგვყო, რომ ეგ ტერმინი სირულენაში საკუთარი იყოს, რომ ის საზოგადოთ სემიტების შექმნილი იყოს, განა ამ სიტყვას ნამდვილი სემიტური წარმოშობის გენეალოგია აქვს პალეონტოლოგიურად დასაბუთებული? ვინც ახლა ასეთ აზრს ბძანებს, დიალაც ვეტყვი: ეს ზღაპარია, ჩმახია. ქალაქს თუ სირიულად და სომხურათაც წრის მნიშვნელობა აქვს, ამ ომონიმობას არავითარი ხელი არა აქვს არც განსაკუთრებით „ქალაქ“ სიტყვასთან, არც საზოგადოთ „ქალაქ“-თან. თუმცა მოვლენა ცნობილია ლათინურშიც, რუსულშიც. არც ქალაქია სიმრგვლისგან წარმოშობილი, არც სიმრგვლე ან წრე ქალაქისგან წარმომდგარა, თუმცა როგორც უკვე მოვიხსენეთ, თვით სიტყვა „წრე“, სომხური წირ და ბასკური *hix* ქალაქი აგრეთვე ერთის სიტყვის სხეულს წარმოადგენს, მაგრამ როცა ასეთ გარეგან მსგავსებულობას, გინდაც გარეგან ერთდაიმავეობას ვემორჩილებით სემანტიკის კანონების ანგარიშგაუწვევლად, სწორეთ ეგ გახლავს ფორმალური მებოდი. პალეონტოლოგიით უკვე დამტკიცებულია, რომ თუ ქალაქი და წრე ერთდაიმავე სახელით იწოდება, მიზეზი ის არის, რომ ორივე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთდაიმავე საგნის წარმოადგენიდან წარმომდგარან, ერთდაიმავე საგანს მიგვითითებს, როგორც სათანადო ცნების პირველ დამსახავს, სახელდობრ ცახ, მაგრამ თითო მათგანი სულ სხვა მოსაზრებით მიებმის ცახ: წრეთ იგულისხმება ცა სიმრგვლისათვის, კამარონებისათვის, ქალაქის აგრეთვე სახლის, ყოველგვარ ნაშენ ადგილის, თავშესაფარის აღსანიშნავად ნახმარია ცა ყველა ენაში, რადგან ცა დამცველ თავშესაჯარად იგულისხმებოდა. მაგრამ თითოეულ ამ განმარტებათაგანს ქალა აქვს და სიმართლე გარკვეულ სტადიაზე.

რაც შეეხება ქალაქს **ქალაქის** მნიშვნელობით და ქალაქს **წრის** მნიშვნელობით ორსავე თავისი სრულებით შეუბღალავი ვარიანტი ჩრდილოეთში აქვს, სხვათა შორის რუსულში, ისეთი, მხოლოდ ისეთი, როგორც ქართულს და მის ტოლს მეგრულს ეკუთვნის, როგორც „ქართველს“ სამეგრელოში „ქორთუ“-ს ეტყვიან, „ქალაქს“ რომ **წრის** მნიშვნელობა ჰქონია, მისი ტოლი სათანადო ფონეტიკური კანონების დაცვით რუსულში არის „крат-“ და „ქალაქ“ რომ **ქალაქის** მნიშვნელობით იხმარება, მისი ტოლი აგრეთვე კანონიერი გახლავს „корид“. აგრეთვე ა-ურ და ო-ურ (გინდა-ურ) განხმოვანების ურთიერთობას სისინა და შიშინა ჯგუფების ახლა აღვადგენთ სომხურ ენის საშვალეებითაც, სადაც შიშინა ჯგუფის ფენა ძლიერზე უფრო ძლიერია. მაგრამ სისინა—ჯგუფის შემონატანიც-მასში აური განხმოვანება აგრეთვე თვალსაჩინო წანალექს წარმოგვიდგენს, და სომხ. კარკ (შეად. крат-кий) **მოკლე**-ს მნიშვნელობით სწორეთ როგორც ქართული ენის შესაფერი სახე შეუბღალველი სისინა ჯგუფის *კარწ შიშინა და ოურ განხმოვანებით მეგრულ—ქანურ ტოლს *korot მოითხოვს, რომელიც კიდევაც დაცულა ფუძედ რუსულ ზედსართავში короткий. Город-იც, короткий-იც ეკუთვნიან თავის სახით უფრო უკრაინულს (სადაც ის სხვა სიტყვით არის აღნიშნული), ვიდრე რუსულს, მაგრამ ორივე ენაში ნაანდერძევია ევროპის პირვანდელ მცხოვრებთაგან, იაფეტურ სისტემის ენაზე რომ საუბრობდნენ. მარტივი სახე იმავე სიტყვის ერთ ელემენტურიანი kax ჩუვაშებში ხლებულა, ცნობილია ფინურ ენებშიც. საკითხი უკვე გამოკვლეულია, მისი სტრატიფიკაცია აფრიკაში შიდის და თვით ქართული სიტყვა „კარ“ იგივე სიტყვა არის.

ქალაქების მშენებლობის და ძალის ტოტემობის ხანათ შორის დიდი, უდიდესი მანძილია.

საზოგადოთ, ტოტემური სოფლმხედველობა ძველად უძველესი მოვლენა გახლავს და თანაც ხანგრძლივი, ერთი ტოტემის მეორეზე ცვლით, როგორც ძალის ცხენზე.

თავის ადგილზე ჩვენ მოვიხსენეთ თევზის ან ვეშაპის ტოტემობა ცასთან შეკავშირებით, როცა ნათესავურ სახელწოდების ჩხუმ

(ლექსუმ, ცხუმარ), ადრე **თავის** და **ცის** ერთდამავე დროს აღმნიშვნელის და მეგრ. ჩხომ **თევზი** ერთმანეთს დავუახლოვეთ და ერთი სიტყვის ორ სახედ ვცანით. მაგრამ რა გვიმოწმებს, რომ თვით სიტყვა „ჩხომ“ ან „ჩხუმ“ დასტურ და ნამდვილად ყოფილა ტოტემი? გვიმოწმებს უტყუარათ ის გარემოება, რომ ერთი მხრით ენის პალეონტოლოგიით და სხვა წყაროებითაც დაბეჯითებულია ტოტემის შემდეგ ღმერთად ან ეშმაკად გარდაქმნა და მეორე მხრით შემდეგი ლინგვისტური უტყუარი ფაქტი: „ჩხომ“ ორ ელემენტისგან შემდგარი სიტყვა არის და მისი უახლოესად წინანდელი სახე იყო ვარსკვლავი **ჯღორმო**, და თუ ფონეტიკურ დებულებას გავიხსენებთ, რომ დიფთუზურ მდგომარეობიდან წარმომდგარი თანხმოვანთ ჯგუფი ქყ, ჯღ, ჩხ და მათთან ან შემდეგ თავის განვითარებაში მარტივდება, ან სიბილანტურ კ, ჯ, ჩ ან სპირანტულ კ, ლ, ხ ჯგუფში გადასვლით და მაშასადამე „ჩხომ“-ს ჩვენდა საჭირო მოწმობა უნდა ვეძებოთ ამრიგათ აღყენებულ მის დერივატულ სახეში, და თუ დასტურაც ავიღებთ მის სპირანტულ ვარიანტს **ღორმო**, მივიღებ მართლაც ქანურ სიტყვას ღმერთის აღმნიშნავს **ღორმო-თ**, რომლის დამბოლოვებელი შემდეგ მინამატია, როგორც სვანურ „ღერმეთ“ სიტყვაში შედარებით ბერძნებში დაცულ მის სახეს **ღერ+მე-ს**, სადაც ეს მ თუმცა მერმინდელია, მაინც იმოდენათ ძველია, რომ იპოვება უკვე pro+mie-მე-ს დასასრულ.

ძალის ტოტემობას მოსდია ცხენის ტოტემობამ, როგორც თვით ცხოვრებაში ოჯახობა ძალის სამსახურიდან, როგორც მიმოსვლის იარაღის, გადავიდა ცხენის ხმარებაზე. ცხენის კულტმა ისე დაჩრდილა ძალის ადრინდელი კულტი, რომ მის მხოლოდ რელიქტს ვპოულობთ სომხურ ქრისტიანულ გარდმოცემებში და ძველ მწერლობაში, ცოცხლად კი ყველაზე უკრო ხევსურეთში.

ცხენის ტოტემით კი, მათ შორის მესამე ელემენტით, იონურით, სპირანტული სახე იქნება თუ სიბილანტური, გაყენთილია მთელი საქართველო და მისი იავეტური მიდამო, დაწყებული მდინარეთ და ნაშენ ადგილების სახელებით: **რი-ონი, ონი, ხონი** და სხვა. თვით ძველი სამწერლო სიტყვა ცხენის აღსანიშნავად იგივე ჰონე

ან ჰუნე არის თუ ყოვილა, და მისგან წარმომდგარია რუსული **кинь**, მაგრამ უფრო ძველ ხანაში იგივე სიტყვა ნიშნავდა **ძალს**, როგორც მას ადასტურებს ბრეტონულში ჩარჩენილი იგივე სიტყვა **ki**, მრ. **kou** ← **kun** და ახლა მიხედვით, თუ რატომ მომხდარა, რომ ძველ ქართულში **ცხენის** აღმნიშნავის სიტყვის „ჰუნე“ სიბილანტური სახე „შუნ“ სომხებს შერჩენიათ ძალის მნიშვნელობით. და მისივე ვარიანტი „შონ“ სვანების ნათესაურ სახელად დაცული „შვანა“-რ მოასწავებს, რომ სვანების ტოტემი ყოფილა „ძალი“, განსაკუთრებით მუ-შნი, ლუ-შნუ.

ჩვენ გვინდოდა იმავე სტადიურ განვითარების საფეხურებზე, ლინგვისტური ფაქტები საფეხურიდან საფეხურზე ნაწილად მაინც გამოგვეშუქებია მატერიალური კულტურის და საზოგადოებრივ წესწყობილების ისტორიიდან ამოღებულ ფაქტებითაც. მას ვტოვებ, მაგრამ ნება მომეცით ერთ სამკვლევროდ საგულისხმო გარემოებას მივუთითო.

ამერიკის ადგილობრივ ენებს განსაკვირველ თანაბარი სისტემის მოხაზულობა ემჩნევა, როცა ადარებთ კავკასიის იაფეტურ ენებს. და იმავე დროს ახლახან დაბეჯითებით დამტკიცებულად მიღებულია, რომ ამერიკაში რკინა ცნობილი არ ყოფილა; და რაოდენ ენის განვითარება დამოკიდებულია წარმოებაზე და საწარმოო ურთიერთობაზე, დიად საინტერესო ამოცანა არის გამოიკვეს, რა განვითარებითი თვისებები შესძინა კავკასიის იაფეტურ ენებს რკინის წარმოებამ და მაზედ აღმოცენილ სოციალურ წესწყობილებამ შედარებით ამერიკის ადგილობრივ ენებთან.

ესეც მივატოვოთ.

კვლევა-ძიებამ აღმოაჩინა, რომ ჩვენ წერილ-ისტორიულ ხანების ადამიანთ და უწერ-ისტორიულ კაცობრიობას შუა ხიდი ჩატეხილი ყოფილა. მაგრამ ეგ ჩატეხილი ხიდი ზედნაშენია, ნამდვილ ცხოვრების-მიმდინარეობა ჩაუტეხელ ხიდით მიდის და მისი სვლა შეუჩერებელია.

აი ნამდვილი და ჩაუტეხელი ხიდის მოხაზულობა და მეტი რამ კიდევ ახალ სწავლას ენისას აღმოუჩენია პალეოლითურ და ხელისმეტყველების დროიდან ჩვენ დრომდი.

ასეთი სიღრმით ენის მეცნიერულ კვლევას ისე გაუფართოვე-
ბია ნიადაგი, რომ მის ფარგალში მოცული შეიქნენ აურ-ევრ-ასიის
ყველა ჯგუფის ენები და თან ამ მსოფლიოთ განწყობილ მეცნიერე-
ბის შენებაში ქართულ ენამ შესამჩნევი ადგილი დაიკავა, მაგრამ
არა იგი, რომელიც ეკადრება. რა გზით შესაძლებელია ასეთი ქარ-
თველისათვისაც საკადრისი ადგილი? მე ჩემი სათქმელი ვთქვი, თქვენ
ახლა თვითონ გასაჯეთ, თუ რა გზას შეიმჩნევთ ასეთ მიზნის მისალ-
წევად ანდა რა გზას ამოირჩევთ?